კორპორატიული კულტურის როლი ორგანიზაციაში და მისი გამოწვევები ქართულ ბაზარზე

თორნიკე ლიჩელი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის(მენეჯმენტში) აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ვაჩეიშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თორნიკე ლიჩელი

1 ივნისი 2021

აბსტრაქტი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი ეხება, საქართველოში არსებული კომპანიების კორპორატიული კულტურის ანალიზს, ზოგადი თეორიების მიხედვით.

ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობა უფრო და უფრო იზრდება თანამედროვე კომპანიებში. მიუხედავად იმისა, რომ კორპორატიულ კულტურაზე დოგმატური სწავლება არ გაგვაჩნია, მისი კონცეპტი საკმაოდ კომპლექსურია. მასზე ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის: რელიგია, მრწამსი სამოღვაწეო სფერო და ა.შ.

აღნიშნული კვლევის მიზანი იყო, დადგენა იმისა, იცნობენ თუ არა დასაქმებულები კორპორატიული კულტურის არსს, რამდენად არის გამართული კულტურული ასპექტები ქართულ ბაზარზე.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა, რომელიც მოიცავდა დახურულ კითხვებს. რესპონდენტთათვის გამოყენებულ იქნა საკვლევი ინსტრუმენტი, რომლითაც კორპორატიული კულტურის ასპექტების სისწორე იზომება საერთაშორისო ბაზარზე. შემდეგ დამუშავდა მიღებული მასალა Excel-ის გამოყენებით და შესაბამისად დადგინდა, რომ კორპორატიული კულტურის შესახებ დასაქმებულთა უმეტეს ნაწილს სმენია და გაცნობიერებული აქვს მისი მოქმედება ორგანიზაციაზე. ასევე გამოიკვეთა ის კონკრეტული პრობლემები, რომელთა წინაშეც დგას ქართულ ბაზარზე მოქმედი კომპანიები. ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ საკმაოდ კარგი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოში ამ კუთხით.

მიღებული დასკვნების მიხედვით შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები. მაგალითად უმჯობესი იქნება თანამშრომლებს ჰქონდეთ მკაფიოდ დასახული ორგანიზაციული მიზნები, გადაწყვეტილების მიღებისას მეტი თავისუფლება და კომპანიებმა ყურადღება გაამახვილონ შრომის უსაფრთხოებაზე.

საძიებო სიტყვები: კორპორატიული კულტურა, ორგანიზაციული ქცევა, საქართველო.

Abstract

This Master's thesis refers to the analysis of corporate cultures of the companies existing in Georgia, according to the general theories.
The importance of organizational culture increases more and more in modern companies, notwithstanding the fact that we do not possess a dogmatic study on corporate culture, its concept is perceived as quite complex. It is influenced by various factors, including religion, beliefs, career field and so on.

The purpose of this specific research was to determine whether employees of the Georgian market are familiar with the concept of corporate culture and how much it impacts them all.

As one of the main part of this research, an online survey was conducted, which included closed - ended questions. The result was processed through Excel and it was concluded that most of the employees are aware of corporate culture's existence and its impact on the organization. Apart from this, the problems faced by companies, that operate in the Georgian market were also identified. The research has shown, that Georgia has improved quite a lot in this regard.

Relevant recommendations were developed based on the findings. For example, it would be better for employees to have clearly set organizational goals, more freedom in decision-making, and it would be better for companies to focus on labour safety.

Key words: Corporative culture, Organizational behavior, Georgia.